

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N46 საცხოვრებელი სახლის
N11 ბინაზე, მოქალაქე ტარიელ ჯინჭარაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N46 საცხოვრებელი სახლის N11 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ტარიელ ჯინჭარაძის განცხადება /2013 წლის 01.04 Nჯ-3983/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N46 საცხოვრებელი სახლი N11 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N46 საცხოვრებელი სახლის N11 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ტარიელ ჯინჭარაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N46 საცხოვრებელი სახლის N11 ბინაზე /საერთო ფართობი 80,93 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 41,10 კვ.მ, დამხმარე ფართობი 39,83 კვ.მ./ მოქალაქე ტარიელ ჯინჭარაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე